

ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“

2018 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ შეიქმნა 2018 წლის 3 იანვრის #2 განკარგულებით, 2018 წლის 17 იანვრის #7 განკარგულებით არჩეული იქნა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე. ფრაქცია შედგება ოთხი წევრისაგან: გ. გოგებაშვილი ფრაქციის თავმჯდომარე, ა. თუთისანი, შ. ომანაძე-ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, მ. ხაბულიანი.

ფრაქციის წევრები აქტიურად არიან ჩართულები საკრებულოს მუშაობაში. ალუდა თუთისანი ხელმძღვანელობს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, მამუკა ხაბულიანი - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას. 2018 წლის განმავლობაში ფრაქციამ მიიღო ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში მონაწილეობა, ხდებოდა საკითხების შესწავლა, ერთობლივი განხილვა და საკუთარი მოსაზრებების გამოტანა საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომებზე, მათ შორის ისეთ საკითხებზე როგორცაა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცება, ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში გასახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხილვა, დამტკიცება, შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლი.

2018 წლის განმავლობაში ორბელის თემი მრავალი პრობლემის წინაშე დადგა. მოსახლეობასთან შეხვედრებზე ჩართული ვიყავი როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, ასევე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა. მოსახლეობასთან შეხვედრებს ესწრებოდა საკრებულოს აპარატი. შეხვედრებზე მოსახლეობის ძირითადი პრობლემები იყო სოფლის შიდა გზები და სასმელი წყლის მოგვარება, რომელიც დიდი ხნის პრობლემაა. პრობლემურია თემის საჯარო სკოლასთან მისასვლელი გზაც. აგრეთვე მოსახლეობა ითხოვდა ტყეში შემავალი გზის მოწესრიგებას საშემე მერქნის მოსაგროვებლად. ეს პრობლემა ჩვენს მიერ იქნა შესწავლილი და პრობლემის მოსაგვარებლად ჩართული იქნა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გუგავა და მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ უგრეხელიძე, რომელთა ძალისხმევითაც ეს პრობლემა მოგვარდა, რაზედაც მოსახლეობა დიდ მადლიერებას გამოხატავს. 2018 წლის განმავლობაში ფრაქციამ „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ ჩაატარა 12 სხდომა, სადაც ფრაქციის წევრებთან ერთად განხილული იქნა ყველა ის ძირითადი საკითხი, რომელიც დასმული იყო საკრებულოს სხდომაზე, შედგა შესაბამისი ოქმები.

რაც უმთავრესია და ყოველთვის ჩვენი მოსახლეობის უდიდესი პრობლემა არის, რთველის და გლეხის ნაშრომის რეალიზაციაა, ეს საკითხი 2018 წელს მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის და ჩემი, როგორც თემის მაჟორიტარი დეპუტატის მონაწილეობით ორგანიზებულად ჩატარდა. ამისათვის მუნიციპალიტეტის

ხელმძღვანელობა აქტიურად აწარმოებდა კონსულტაციებს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კერძო კომპანიებთან, რამაც კარგი შედეგი გამოიღო და მოსახლეობა კმაყოფილია.

სოფ. ლაჯანაში დიდ პრობლემას წარმოადგენდა საბავშვო ბაღის შენობის საკითხი, შენობა ავარიული იყო და ვერ იტევდა ბავშვების რაოდენობას. ფაქტიურად ეს პრობლემაც მოგვარებულია. მიმდინარეობს ახალი თანამედროვე ბაღის მშენებლობა და მომავალი სასწავლო წლიდან სოფლის მოსახლეობა და რაც მთავარია ბავშვები იზეიმებენ სასწავლო წლის დაწყებას ახალ ბაღში.

2018 წელს თემში პრობლემების ნაწილი მოგვარებულია, მაგრამ მოსახლეობა კვლავ რჩება უამრავი პრობლემის წინაშე, რომლის იმედი მაქვს მომავალი წლისათვის ეტაპობრივად მოგვარდება.